

დადგენილება № ცვ-0822-21
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

13 მაისი, 2021 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის იურისტი ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2021 წლის 13 მაისი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ნინო ქურციკიძე, პირადი № 21001014141, დაბ. 1971 წლის 17 ივლისს, მის. თერჯოლის რ-ნი, სოფ. ნახშირდელე, მე-18 ქ. № 20, ფაქტ. მის. ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის ქ. № 51ა, ბინა № 27.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2021 წლის 11 მაისს, ქ. ქუთაისში, ს. ხუნდაძის ქ. № 51ა, ბინა № 27-ში, აბონენტ დავით ბრეგაძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ ნინო ქურციკიძეს მრიცხველამდე არსებულ ავტომატ-ამომრთველში შემაჯალი ნულოვანი სადენი ჰქონდა ჩახსნილი და ალტერნატიული ნოლი აღებული იყო ბინაში არსებული დამიწებიდან. შემოწმების დროს მრიცხველი მოხმარებულ ელექტროენერგიას არ აღრიცხავდა და დატაცებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეადგენდა 3,5 ამპერ დენს, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე. ნინო ქურციკიძეს მიმართ 11.05.2021წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას №005949 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი და განმარტავს, რომ აღნიშნული ფაქტი აღარ განმეორდება. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. ნინო ქურციკიძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 11.05.2021წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №A784216, რომლითაც დასტურდება ნინო ქურციკიძის მიერ ელექტროენერგიის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოწოდებული

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ინფორმაცია, აბონენტის ბარათი, სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ფოტოსურათი), რომელთა მეშვეობით დასტურდება ნინო ქურციკიძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც ნინო ქურციკიძემ მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 18.09.2008 წ. №20 დადგენილების მე-8 მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 17.09.2010 წ. RU №2010009 წესით, 17.12.2020 წ. OR №2020042 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი ნინო ქურციკიძე, პირადი №21001014141, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,
კომისიის თავმჯდომარე